სააგენტოს 30/11/2022 წლის N 21/7313 წერილი

#	სააგენტოს შენიშვნა	პროექტის ავტორის პასუხი
1	სკრინინგის განცხადებაში მოცემული საპროექტო ნაგებობა არ შეესაბამება პროექტის ჰიდროლოგიურ ნაწილში მოცემულ კალაპოტის წარეცხვის სიღრმის მნიშვნელობას, შესაბამისად წარმოდგენილი ქვანაყარი ბერმა ვერ უზრუნველყოფს ნაპირის მდგრადობის შენარჩუნებას რადგან მისი მოცულობა არ არის გათვლილი წარეცხვის სიღრმის სიდიდეზე;	ქვაყრილის კონსტრუქცია და ქვის ბერმის მოცულობები დაკორექტირდა დამკვეთთან შეთანხმებით
2	ქვანაყარი ბერმის ფრაქციული შემადგენლობის პროცენტული განაწილება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ნორმებს;	მდინარის კალაპოტის შესწავლამ, სხვადასხვა უბნებზე გამოავლინა ანალოგიური ფრაქციის ლოდების შემადგენლობა, შერჩეული ფრაქციული შემადგენლობა შეთანხმებულია დამკვეთთან.
3	სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, კერძოდ გვ. 9-ზე მითითებულია, რომ აღნიშნული ფონური მდგომარეობის გათვალისწინებით დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები, რომელიც მხოლოდ **5 თვის** განმავლობაში გაგრძელდება, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ მოახდენს ვიზუალურ-ლანდშაფტურ მდგომარეობაზე, ხოლო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გრაფიკის ცხრილში სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობად მითითებულია **4 თვე**, რაც საჭიროებს დაზუსტებას	შენიშვნა გათვალისწინებულია
4	სკრინინგის განცხადებაში (გვ. 36 და გვ. 50) წარმოდგენილი კოორდინატები არ ემთხვევა სკრინინგის განცხადებას თანდართულ Shp ფაილებს, რაც საჭიროებს დაზუსტებას;	შენიშვნა გათვალისწინებულია